

საქართველოს მთავრობის

დადგენილება №175

2014 წლის 19 თებერვალი

ქ.თბილისი

საქართველოს დაზვერვის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ

მუხლი 1

„საქართველოს დაზვერვის სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, დამტკიცდეს საქართველოს დაზვერვის სამსახურის თანდართული დებულება.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი

ირაკლი ღარიბაშვილი

საქართველოს დაზვერვის სამსახურის დებულება

თავი I

ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. საქართველოს დაზვერვის სამსახური (შემდეგში – სამსახური) არის საქართველოს პრემიერ-მინისტრის უშუალო დაქვემდებარებაში არსებული აღმასრულებელი ხელისუფლების სპეციალური დანიშნულების დაწესებულება, რომელიც საქართველოს ეროვნული ინტერესების გატარებისა და დაცვის მიზნით ახორციელებს სადაზვერვო საქმიანობას.

მუხლი 2

თავისი ამოცანების განხორციელებისას სამსახური წარმოადგენს სახელმწიფოს.

მუხლი 3

სამსახური თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების, „საქართველოს დაზვერვის სამსახურის შესახებ“ და „სადაზვერვო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონების, ასევე, საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების, ამ დებულებისა და შიდაუწყებრივი სამართლებრივი აქტების საფუძველზე.

მუხლი 4

სამსახური არის ერთიანი, ცენტრალიზებული სისტემა და ეფუძნება ერთმმართველობის პრინციპს.

მუხლი 5

სამსახური თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია და ანგარიშვალდებულია საქართველოს პრემიერ-მინისტრის წინაშე. სამსახურზე სამსახურებრივ ზედამხედველობას ახორციელებს საქართველოს პრემიერ-მინისტრი.

მუხლი 6

სამსახურის დაფინანსების წყაროა სახელმწიფო ბიუჯეტი. სამსახურს აქვს ბეჭედი საქართველოს სახელმწიფო გერბის გამოსახულებითა და თავისი სახელწოდებით და დამოუკიდებელი ბალანსი. სამსახურს აქვს კანონმდებლობით დადგენილი წესით დამტკიცებული საუწყებო დროშა და ემბლემა.



მუხლი 7

საკუთარი საქმიანობის კონსპირაციის უზრუნველყოფის მიზნით, სამსახურის სტრუქტურულ დანაყოფებს შეუძლიათ გამოიყენონ პირობითი დასახელება და შესაბამისი რეკვიზიტები (ბეჭედი პირობითი დასახელებით, განსხვავებული საბანკო რეკვიზიტები და სხვ.).

მუხლი 7¹

დაწესდეს საქართველოს დაზვერვის სამსახურის მოსამსახურეთა დღე და აღინიშნოს ყოველი წლის 19 სექტემბერს.

თავი II

სამსახურის საქმიანობის სფერო, ფუნქციები და ამოცანები

მუხლი 8

სამსახური აწარმოებს სადაზვერვო საქმიანობას პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სამეცნიერო-ტექნიკურ, სამხედრო-პოლიტიკურ, ინფორმაციულ, ეკოლოგიურ სფეროებში, ასევე, თავისი კომპეტენციის ფარგლებში მონაწილეობს საერთაშორისო ტერორიზმთან ბრძოლაში.

მუხლი 9

სამსახურის საქმიანობის სფერო, ძირითადი ფუნქციები და ამოცანებია:

ა) საქართველოს ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების მიერ ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის შემუშავებისა და გატარებისათვის ხელშეწყობის მიზნით შესაბამისი სადაზვერვო ინფორმაციის მოპოვება-შეგროვება, დამუშავება, ანალიზი, რეკომენდაციის შემუშავება და გავრცელება (მიწოდება);

ბ) საქართველოს ეროვნული ინტერესების წინააღმდეგ მიმართული არსებული და პოტენციური საგარეო საფრთხეების, რისკებისა და გამოწვევების განსაზღვრა-გამოვლენა;

გ) კომპეტენციის ფარგლებში ეროვნული, რეგიონალური და გლობალური უსაფრთხოების პრობლემებთან დაკავშირებული საკითხების დამუშავება, მოვლენების შესაძლო განვითარების პროგნოზირება და კრიზისული სიტუაციის არსებობის ან მისი წარმოქმნის საფრთხის შემთხვევაში ქვეყნის ხელისუფლებისათვის შესაბამისი შეფასებების და წინადადებების მიწოდება;

დ) უსაფრთხოებისა და საგარეო პოლიტიკის სფეროებში საქართველოს ეროვნული ინტერესების გატარებისა და დაცვისათვის ხელშეწყობის მიზნით, უმაღლესი ხელისუფლების ორგანოებთან შეთანხმებით, სპეციალური ფარული ღონისძიებების განხორციელება;

ე) საზღვარგარეთის პირობებში საკუთარი ძალების, საშუალებებისა და ოპერაციების, ასევე, საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობების და საკონსულო დაწესებულებების და მათი საქმიანობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით საგარეო კონტრაზვერვითი საქმიანობის განხორციელება.

თავი III

სამსახურის საქმიანობის ძირითადი მიმართულებები და უფლებამოსილებანი

მუხლი 10



სამსახურის საქმიანობის ძირითადი მიმართულებები განისაზღვრება „სადაზვერვო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონითა და საქართველოს პრემიერ-მინისტრის მიერ დამტკიცებული ეროვნული სადაზვერვო პროგრამით.

მუხლი 11

საკუთარი ფუნქციების განხორციელების და მის წინაშე მდგარი ამოცანების გადაწყვეტის მიზნით, სამსახური:

ა) კომპეტენციის ფარგლებში ახორციელებს საქართველოს პრემიერ-მინისტრის მიერ დამტკიცებულ ეროვნულ სადაზვერვო პროგრამას და მის საფუძველზე შეიმუშავებს სადაზვერვო დავალებებს;

ბ) დამტკიცებული რიცხოვნობისა და ორგანიზაციული სტრუქტურის ფარგლებში ქმნის აუცილებელ ქვედანაყოფებს, სპეციალური მომზადების, სამეცნიერო-კვლევით, სამედიცინო-პროფილაქტიკურ დაწესებულებებს, არქივს, უშვებს სპეციალურ გამოცემებს;

გ) შეიმუშავებს და ახორციელებს სადაზვერვო საქმიანობის უსაფრთხოებისა და განვითარებისათვის აუცილებელ სპეციალურ პროგრამებს;

დ) ნებაყოფლობის საფუძველზე ღიად ან კონფიდენციალურად თანამშრომლობს საქართველოსა და უცხო ქვეყნის მოქალაქეებთან, მოქალაქეობის არმქონე პირებთან, ქმნის სადაზვერვო პოზიციებს;

ე) სამსახურში არსებულ, აგრეთვე, ყველა წყაროდან მოპოვებული/მიღებული ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე ქმნის საბოლოო სადაზვერვო ინფორმაციას (სადაზვერვო პროდუქტს);

ვ) სადაზვერვო საქმიანობის განხორციელების მიზნით აწარმოებს სადაზვერვო ინფორმაციის გაცვლის კოორდინაციას საქართველოს დაზვერვის სისტემაში შემავალ დაწესებულებებს შორის;

ზ) კომპეტენციის ფარგლებში მონაწილეობს საქართველოს წინააღმდეგ მიმართული უცხო ქვეყნების სადაზვერვო საქმიანობის გამოვლენის, აგრეთვე, საერთაშორისო ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებებში;

თ) სადაზვერვო ინფორმაციის მოსაპოვებლად იყენებს ოპერატიულ, ოპერატიულ-ტექნიკურ, საინჟინრო-ტექნიკურ, რადიოელექტრონულ და სხვა სპეციალურ საშუალებებს;

ი) კონსპირაციის მიზნით, სადაზვერვო საქმიანობის აუცილებლობიდან გამომდინარე, ქმნის სხვადასხვა სამართლებრივი ფორმის ორგანიზაციებს;

კ) კანონმდებლობით დადგენილი წესით ახორციელებს სახელმწიფო საიდუმლოების რეჟიმის დაცვის მეთოდურ, ორგანიზაციულ, ორგანიზაციულ-ტექნიკურ ღონისძიებებს როგორც საკუთარ ქვედანაყოფებში, ისე საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობებსა და საკონსულო დაწესებულებებში;

ლ) კანონმდებლობით დადგენილი წესით უზრუნველყოფს საკუთარ უსაფრთხოებას. თავისი მოსამსახურეებისა და მათი ოჯახის წევრების, ოპერატიული ინფორმაციის წყაროების, საინფორმაციო და კავშირგაბმულობის სისტემების, საინფორმაციო მონაცემთა ბაზების, საკუთარი დოკუმენტაციის, შენობა-ნაგებობების, სატრანსპორტო საშუალებების, სხვა ქონების უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით ახორციელებს ოპერატიულ, ოპერატიულ-ტექნიკურ და საინჟინრო-ტექნიკურ ღონისძიებებს;

მ) საკუთარი უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით თანამშრომლობს საქართველოს სხვა სახელმწიფო სტრუქტურებთან;

ნ) სადაზვერვო ინფორმაციის დასაცავად სხვა მეთოდებთან ერთად ქმნის და/ან იყენებს კრიპტოგრაფიულ სისტემებსა და შიფრებს;

ო) კომპეტენციის ფარგლებში ახორციელებს ოპერატიულ-სამშობრო საქმიანობას;

პ) აუცილებლობის შემთხვევაში, ახორციელებს თავისი დოკუმენტაციის, საკადრო შემადგენლობის,



ქვედანაყოფების, შენობა-ნაგებობებისა და სატრანსპორტო საშუალებების შენიღბვასა და დაშიფრვას, მათ შორის სხვადასხვა დოკუმენტების, სატრანსპორტო საშუალების სანომრე და სხვა ამოსაცნობი ნიშნების გამოყენებით;

ჟ) საწარმოებთან, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებთან (მათი სამართლებრივი ფორმის მიუხედავად) დებს შესაბამის შეთანხმებებს, სადაზვერვო საქმიანობის აუცილებლობიდან გამომდინარე;

რ) შეიმუშავებს სამსახურის წლიური და გრძელვადიანი ბიუჯეტის პროექტებს;

ს) გლობალურ და რეგიონალურ საფრთხეებთან დაკავშირებულ საკითხებზე თანამშრომლობს უცხო ქვეყნების შესაბამის სამსახურებთან.

ტ) ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებებს.

თავი IV

სამსახურის უფროსი

მუხლი 12

1. სამსახურს ხელმძღვანელობს სამსახურის უფროსი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს პრემიერ-მინისტრი.

2. სამსახურის უფროსი არის საქართველოს პრემიერ-მინისტრის მთავარი მრჩეველი დაზვერვის საკითხებში.

მუხლი 13

სამსახურის უფროსი:

ა) წარმოადგენს სამსახურს და ხელმძღვანელობს სამსახურის საქმიანობას;

ბ) ხელმძღვანელობს საქართველოს პრემიერ-მინისტრის მიერ დამტკიცებული ეროვნული სადაზვერვო პროგრამის განხორციელებას;

გ) ეროვნული სადაზვერვო პროგრამიდან გამომდინარე განსაზღვრავს სამსახურის სადაზვერვო საქმიანობასთან დაკავშირებულ ამოცანებსა და პრიორიტეტებს;

დ) უზრუნველყოფს სადაზვერვო ინფორმაციის მიწოდებას ხელისუფლების უმაღლესი ორგანოებისა და შესაბამისი სამთავრობო დაწესებულებებისათვის;

ე) კოორდინაციას უწევს სადაზვერვო ინფორმაციის დაცვის კრიპტოგრაფიული საშუალებებისა და შიფრების სახელმწიფო სტანდარტების შექმნასა და დანერგვას;

ვ) პასუხისმგებელია სამსახურის კომპეტენციას მიკუთვნებულ სფეროებში საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს კანონებისა და კანონქვემდებარე აქტების შესრულებაზე;

ზ) ამტკიცებს სამსახურის სტრუქტურული ქვედანაყოფების დებულებებსა და სამტატო ნუსხას;

თ) სამსახურის გამგებლობის სფეროს მიკუთვნებული საკითხების გადაწყვეტის მიზნით, საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე გამოსცემს სამართლებრივ აქტებს და კონტროლს უწევს მათ შესრულებას;

ი) ამტკიცებს სამსახურის სტრუქტურული ქვედანაყოფების თანამშრომელთა ფუნქციონალურ მოვალეობებს;

კ) თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს სამსახურის მოსამსახურეებს;



ლ) დადგენილი წესით განკარგავს სამსახურის ფულად სახსრებსა და მატერიალურ ფასეულობებს;

მ) მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად საწარმოებთან, დაწესებულებებთან და ორგანიზაციებთან (მიუხედავად მათი სამართლებრივი ფორმისა) დებს ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებს;

ნ) საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობებში შესაბამისი ქვეყნის სპეცსამსახურის ხელმძღვანელობასთან შეთანხმებით განსაზღვრული ამოცანების შესასრულებლად მიავლენს დაზვერვის ოფიციალურ წარმომადგენლებს;

ო) საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობების, საკონსულო დაწესებულებებისა და სხვა ოფიციალური წარმომადგენლობების, მათი პერსონალის, საქმიანობის, უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და საიდუმლოების რეჟიმის დაცვის მიზნით მიავლენს უსაფრთხოების ოფიცერს;

პ) საქართველოს პრემიერ-მინისტრთან შეთანხმებით სადაზვერვო საქმიანობიდან გამომდინარე სახელმწიფო სტრუქტურებში ნიშნავს დაზვერვის ოფიცერს;

ჟ) აუცილებლობის შემთხვევაში, ხელშეკრულების საფუძველზე სამსახურში იწვევს მაღალკვალიფიციურ სპეციალისტებს;

რ) ხელმძღვანელობს სამსახურის სამობილიზაციო მზადყოფნას და საჭიროების შემთხვევაში, უზრუნველყოფს პირადი შემადგენლობის გადაყვანას სამსახურის განსაკუთრებულ რეჟიმზე;

ს) სამსახურის მოსამსახურეებს კანონმდებლობით დადგენილი წესით ანიჭებს სახელმწიფო-სპეციალურ ან სამხედრო წოდებებს, პოლკოვნიკის ჩათვლით;

ტ) კანონმდებლობით დადგენილი წესით მოსამსახურეებზე გასცემს სამსახურებრივ მოწმობებს, სამსახურებრივ-სამტატო და სამხედრო-საბრძოლო იარაღს, აგრეთვე, სხვა სპეციალურ საშუალებებს;

უ) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად იღებს გადაწყვეტილებას სამსახურის იმ სამხედრო მოსამსახურეთათვის სამსახურის გაგრძელების შესახებ, რომლებმაც მიაღწიეს სამხედრო სამსახურში ყოფნის ზღვრულ ასაკს, გარდა პოლკოვნიკთა და უმაღლესი სამხედრო წოდების ოფიცერთათვის;

ფ) საქართველოს პრემიერ-მინისტრს განსახილველად წარუდგენს წინადადებებს სადაზვერვო საქმიანობის მარეგულირებელი შესაბამისი კანონმდებლობის სრულყოფისათვის;

ქ) დადგენილი წესით აღძრავს შუამდგომლობას სამსახურის მოსამსახურეებისა და უცხო ქვეყნის მოქალაქეების საქართველოს სახელმწიფო ჯილდოებით დაჯილდოებისა და მათთვის საპატიო წოდებების მინიჭების შესახებ;

ღ) განსაზღვრავს ფულადი ჯილდოს, აგრეთვე, განსაკუთრებულ შემთხვევებში, ერთჯერადი დახმარების ოდენობას;

ყ) წახალისებს და დისციპლინურ პასუხისმგებლობას აკისრებს სამსახურის მოსამსახურეებს;

შ) კანონმდებლობით დადგენილი წესით ასაჩუქრებს და/ან აჯილდოებს პირებს სამსახურის წინაშე მდგომი ამოცანების შესრულებაში აქტიური დახმარებისათვის;

ჩ) ამტკიცებს სამსახურის სამხედრო ან სპეციალური წოდების მქონე მოსამსახურეთათვის სამსახურის საუწყებო ფორმის ნიმუშებს და მათი ტარების წესს;

ც) ამტკიცებს სამსახურის უწყებრივი მედლების ფორმასა და მედლებით დაჯილდოების წესს;

ძ) სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში სამსახურის მოსამსახურეთათვის განსაზღვრავს სოციალური დაცვის დამატებით ღონისძიებებსა და შეღავათებს;

წ) წარმოადგენს სამსახურს საერთაშორისო და სხვა ორგანიზაციებთან ურთიერთობაში;



ქ) ახორციელებს სადაზვერვო ინფორმაციის მოპოვებას და საქართველოს კანონმდებლობით მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებებს.

საქართველოს მთავრობის 2018 წლის 1 მარტის დადგენილება №109 - ვებგვერდი, 05.03.2018წ.

თავი V

სამსახურის უფროსის მოადგილეები

მუხლი 14

სამსახურის უფროსს ჰყავს პირველი მოადგილე და მოადგილე.

მუხლი 15

სამსახურის უფროსის პირველ მოადგილესა და მოადგილეს სამსახურის უფროსის წარდგინებით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს პრემიერ-მინისტრი.

მუხლი 16

1. სამსახურის უფროსის პირველი მოადგილისა და მოადგილის უფლებამოსილება განისაზღვრება სამსახურის უფროსის სამართლებრივი აქტით.
2. სამსახურის უფროსის არყოფნისას, სამსახურის უფროსის გადაწყვეტილებით, მის მოვალეობას ასრულებს ერთ-ერთი მოადგილე.

თავი VI

სამსახურის სტრუქტურული ქვედანაყოფები და მათი ამოცანები

მუხლი 17

სამსახურის სტრუქტურული ქვედანაყოფებია:

- ა) ოპერატიული დირექტორატი – უზრუნველყოფს, სამსახურის უფროსის მიერ დამტკიცებული სადაზვერვო გეგმის შესაბამისად, სადაზვერვო ინფორმაციის მოპოვებას, ასევე ახორციელებს საგარეო კონტრდაზვერვით საქმიანობას;
- ბ) ანალიტიკური დირექტორატი – ახორციელებს სადაზვერვო ინფორმაციის მოპოვებას ღია წყაროებიდან, სამსახურის მიერ მოპოვებული და სამსახურში შესული სადაზვერვო ინფორმაციის დამუშავებას, დაგროვებასა და ანალიზს, მონაწილეობს ოპერატიული ღონისძიებების უზრუნველყოფაში;
- გ) ადმინისტრაციული დირექტორატი – ახორციელებს სამსახურის საკადრო, სამართლებრივ, საფინანსო-სამეურნეო, მატერიალურ უზრუნველყოფას, საიდუმლო და არასაიდუმლო საქმისწარმოებას, საპროტოკოლოლ ღონისძიებებს, სამსახურის საზოგადოებასთან და მასობრივი ინფორმაციის საშუალებებთან ურთიერთობის კოორდინაციას, უზრუნველყოფს ოპერატიულ აღრიცხვასა და საარქივო წარმოებას, მონაწილეობს ოპერატიული ღონისძიებების უზრუნველყოფაში;
- დ) უსაფრთხოების დირექტორატი – უზრუნველყოფს სამსახურის საკუთარ უსაფრთხოებას, ახორციელებს სამსახურის სტრუქტურული ქვედანაყოფების საქმიანობის ინსპექტირებას და ახორციელებს ოპერატიულ საქმიანობას;
- ე) სპეციალური მომზადებისა და გადამზადების ცენტრი (დირექტორატი) – ახორციელებს სამსახურის, სხვა სახელმწიფო უწყებების მოსამსახურეთა სპეციალურ მომზადებასა და გადამზადებას, სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას და მონაწილეობს ოპერატიული ღონისძიებების უზრუნველყოფაში;



ვ) ტექნიკური დაზვერვის დირექტორატი – უზრუნველყოფს სადაზვერვო ინფორმაციის მოპოვებას ოპერატიულ-ტექნიკური საშუალებების გამოყენებით, შეიმუშავებს და ახორციელებს ტექნიკური უსაფრთხოების ღონისძიებებს, როგორც სამსახურში, ასევე საქართველოს ფარგლებს გარეთ მყოფ საქართველოს დიპლომატიურ და სხვა დაწესებულებებში, მონაწილეობს ოპერატიული ღონისძიებების უზრუნველყოფაში.

საქართველოს მთავრობის 2015 წლის 6 მაისის დადგენილება №200 – ვებგვერდი, 06.05.2015წ.

